საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

სოციალისტ-ფედერალისტი

სამშაბათი აპრილის 12
1921 წ.
№ 35
ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ისტორიული დოკუმენტი

ერთი და უკანასკნელი სხდომა საქ. ყოფილი დამფუძნებელი კრებისა ქ. ბათომში, სადაც ყველა არა მენშევიკურმა ფრაქციებმა მენშევიკურ მთავრობას გამოუტანეს უნდობლობა

მოისმინა რა მთავრობის მოხსენება საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ.

1. მთავრობა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ქვეყნის დაცვისათვის თუმცა იცოდა, რომ მტერი საქართველოზე თავდასხმას ამზადებდა და თვითონაც არა ერთხელ განუცხადებია, რომ რესპუბლიკის დასაცავად ყველა სათანადო ზომა მიღებული აქვს,

2. მთავრობამ ვერ შექმნა რესპუბლიკის დასაცავად საჭირო სამხედრო ძალა და მრავალ დაუდევრობისა და შეცდომის გამო სრულიად ვერ გამოიყენა თავდაცვისათვის ის ძალები, რომელიც მის განკარგულებაში იყო.

3. ომის წარმოების დროსაც მთავრობამ ვერ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე და თვით შეიქმნა პანიკისა და არევ დარევის წყაროდ.

დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ თუმცა ქართველმა ხალხმა ყოველივე მიიტანა სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე, დღევანდელმა მთავრობამ მაინც ვერ შესძლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა, და უცხადებს მას უნდობლობას.

სოც.-ფედ. ფრაქცია
სოც.-რევ. ფრაქცია
დამოუკიდებელი სოც.-დემ. ფრაქცია
დემოკრატიული ფრაქცია.

ფურცლები

12.

მოღალატენი და ლაქიები.

ნაცნობი თქმულებით უნდა დავიწყო ეს წერილი: შემოდგომის ბუზები მწარედ იკბინებიან, ან კიდევ, ვინ არ იცის რა საოცარ სიმკაცრეს არ იჩენს ხოლმე მძიმედ დაჭრილი დათვი. სამარეს პირში მიგდებულ ბუზსა და დათვს წარმოადგენდა მენშევიკების პარტია სახელმწიფო თეატრში.

კვირას, 10 აპრილს თეატრში ტფილისის მენშევიკების კრება იყო გამართული მომენტის საძიებლად. ვინ და რა ჯურის ხალხი არ გინდოდათ არ გენახათ ამ კრებაზე. მენშევიკების მიერ გაძარცული მონასტრების მონოზნეებიდან, პაგონებ აყრილ კომისრებამდე, ერევნის ჩარჩებიდან, ქრთამში დახელოვნებული ჩინოვნიკამდე თავი მოეყარათ მენშევიკების ლაშქარს და ცხარე ბჭობას შეექცეოდნენ.

ვინ არ არის მიჩვეული მენშევიკების ბჭობას, ვის არ მობეზრებია მენშევიკების ბრძენთა ბრძენი აზრების მოსმენა, ვინ არის ეხლა კიდევ ჩვენში ისეთი ჩლუნგი გონების ადამიანი, რომ რაიმე ფასი დასდოს მენშევიკების ლათაიებს, ან ვინ არის დღეს ისე მოცლილი, რომ ყურადღების საგნად გაიხადოს ეს მძოვრად და ქცეული პარტია..

ჩვენ მართლა თითქმის უყურადღებოთ ვტოვებთ მენშევიკების მუშაობის განხილვას, ჩვენ რაინდობა გამოვიჩინეთ: მეტად მცირედ ვწერდით მენშევიკებზე, განა ღირდა დამარცხებულ ადამიანის კიდევ ხელის ხლება?—მით უმეტეს მაშინ, როცა მოწინააღმდეგეს ბრძოლის ის იარაღიც არ აქვს, რომლითაც შენ ხარ აღჭურვილი.

მაგრამ დღეს ბრძოლის ასპარეზზე მწარე ომისათვის მენშევიკები გვიწვევს და ნურას უკაცრავად თუ ეხლა ჩვენი ხალხის წინაშე ამ მოაკვდავ პარტიის გესლიან კბილებს ხელები ჩავსტაცოთ და დამპალი, აშმორებული ღრძილები მიმოვწმინდოთ.

ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სანიტარული ინტერესები. ქვეყანამ უნდა იცოდეს ერთხელ და სამუდამოთ: ვერც სამშობლო და ვერც რევოლიუცია ვერასოდეს იდღესასწაულებს თავის გამარჯვებას ვიდრე მენშევიკების მოღალატეობას გასავალი ექნება, ვიდრე მენშევიზმი არ მოისპობა ერთხელ და სამუდამოდ.

არის ხოლმე ჩვენში გულუბრყვილო ადამიანების აზრი: დამნაშავე ადამიანი მოკრძალებით უნდა იყოს თავის სიტყვასა და მოქმედებაში. პსიხოლოგიურად ეს ზნეობრივი მოთხოვნილებაა, მაგრამ მენშევიკებს ეს ზნეობაც დაავიწყდათ, ჩვენი მოქალაქეების აზრებიც და ის სამართლიანი მოთხოვნილებაც, რომლითაც ისინი ჩვენ გვეუბნებიან: პრესა არა გვაქვს, ჩვენზე ნაკლები წერა მოწინააღმდეგის მიერ მოვალეობაა. დიახ, ჩვენ ამ აზრისა ვართ, ამიტომაც გაცილებით ნაკლებს ვსწერთ მენშევიკებზე, ვიდრე ეს იყო საჭირო, ვინ უწყის, რამდენი კალამი აგვივსია მენშევიკების საგმირო საქმეების ქაღალდებით, მაგრამ თვითონ მენშევიკები შეიკრიბნენ თავიანთ კრებაზე, მთელი საკითხის სიმძიმე გადაიტანეს ფედერალისტებზე და არ დარჩენილა წუმპე, ტალახი, სიბინძურე, რომელიც ჩვენკენ არ გადმოესროლოთ.

ჩვენ არ შეგვიძლია კრინტის დაძვრა, ჩვენ გვცემდენ და გვათრევდენ. ბარაქალა! რასაკვირველია, ჩვენ გვესმის მენშევიკური ბრძოლის ჭუჭყიანი მეთოდები. ამ ოცდა ხუთი წლის განმავლობაში მენშევიკების გათახსირებული პოლიტიკის ნაყოფი იყო ჩვენი პარტიული ბიუროების რბევა-აწიოკება, ეროვნული დროშების ხიშტებზე წამოგება, ძვირფას არჩილ ჯორჯაძის ტფილისში ამოსვრა, ჩვენი პარტიული ამხანაგების წინა ღამის ტერორი და დევნა.

განა არ ვიცით ვინ არიან ეს ვაჟბატონები? მაგრამ ჩვენ მაინც ის გვიფორიაქებს სულსა და გულს, რომ მართალია, მენშევიკურ პარტიას სიფაქიზესთან არასოდეს არ ჰქონია კავშირი, მაგრამ იმდენად თუ გაიხრწნებოდა, იმდენად თუ ჩაყურყუმალავდებოდა სიბინძურეში არ გვეგონა, რომ იგი ალაპარაკდებოდა იმ ჭუჭყიან და მყრალ რაღაც არსების სახით რომელსაც ფარნიევი ჰქვიან.

მართლაც, უბედური უნდა იყოს პარტია, რომ ასეთი ვიგინდარები სამშობლოს ინტერესების დავიწყებას აბრალებდეს—და მერე ვის?—სოც.-ფედერალისტების პარტიას!! ამაზე მეტი ცინიზმი და გათახსირება წარმოსადგენია? მაგრამ ვაი იმ უბედურ პარტიას, რომელიც ესოდენ საბედისწერო ჟამს ალაპარაკებს ფარნიევის ენით და სამშობლო დემოკრატიის ინტერესებს ფარნიევს ჩააბარებს.

არა, ბატონო მენშევიკებო, ფედერალისტებს არა სჩვევიათ ქურდულად მოქმედება და მხდალი ადამიანებივით მახვილის ზურგში ჩაცემა. თქვენ მიერ დაკეტილ დარბაზს ჩვენ გავაღებთ საჯაროთ, საქვეყნოთ და დეე მთელმა ქვეყანამ აშკარად დაინახოს ის მოღალატე, ვინც ყიდდა და ყიდის სამშობლოს.

მანამდისინ ჩვენ არ შეგვიძლიან არ დაუბრუნდეთ მენშევიკების ისტორიულ პოლიტიკას და მის მოქმედებასა და აზროვნებაში არ აღვნუსხოთ ლაქიობის და მოღალატეობის ელემენტები, რომელიც დღესაც საბედისწერო ყოფაში აგდებს როგორც სამშობლოს, ისე რევოლიუციას.

ისტორიულად რომ განვიხილოთ მენშევიკური პარტიის მთელი მოღვაწეობა, მისი აზროვნება, ჩვენ ვერ ვნახავთ მის ისტორიაში ერთ მომენტსაც, როცა მენშევიკობას მოღალატეობა არ ახასიათებდეს. საქართველოს მაშტაბით ქართველ ერის ისტორიული მოღალატე—მენშევიკობაა, რომელმაც მთელი ოცი წლის განმავლობაში ხალხს შეაზიზღა და შეურყვნა სამშობლოს სიყვარული, საკუთარი ენა და ისტორია. რუსეთის მაშტაბით მენშევიკობა რევოლიუციის უდიდესი მოღალატეა, რომლის საუკეთესო ძალები დღეს პარიზის კაზინოებს ამკობენ და განაწამებ რუსეთს უქმნიან ახალ-ახალ ავანტიურებს.

არის თუ არა ისეთი მომენტი, როცა მენშევიკები რომელსამე ფრონტზე არ ეწეოდენ ღალატს?—ასეთი მომენტი არ იცის ისტორიამ.

მენშევიკებს მხოლოდ თავის ბატონობის დროს წარმოედგინათ საქართველო. თვითმპყრობელობის დროს მენშევიკები არ სცნობდნენ საქართველოს, კერენსკის დროსაც უარყოფდნენ საქართველოს, მენშევიკებმა საქართველო აღიარეს და საქართველოში ჩამობრძანდნენ მხოლოდ მაშინ, როცა ყოველგან დაჰკარგეს ბატონობის საშუალება, როცა ბატონად წამოაჯდენ საქართველოს. მოვიდნენ ბოლშევიკები და იმის ნაცვლად, რომ ქართველ ხალხის ჭირი და ლხინი გაეზიარებინათ მშრომელ ხალხთან, მოკრიბეს საქართველოს მთელი სიმდიდრე და გაიქცნენ ევროპაში, ანტანტასთან.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს: მენშევიკები მხოლოდ მენშევიკურ საქართველოს ცნობენ თქო. ეს გამართლდა ეხლა მეათასჯერ. დღეს მენშევიკებმა უარყვეს საქართველო, მიატოვეს იგი მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო ბოლშევიკურია და ჩვენ ვიცით, მენშევიკები საქართველოს ასევე უარყოფდნენ, რომ იგი ან ფედერალისტური იყოს, ან კიდევ ესერული. დიახ, ეს ასეა, ვინაიდან მენშევიკებისათვის საქართველო თავისთავად არსებული წმიდათა წმიდა კი არ არის, არამედ ის ტკბილი წვენია, რომელსაც უნდა დაასკუპდნენ და სწოვონ.

მენშევიკებმა წაიღეს ევროპაში მთელი ქართველი ხალხის ზიზღი და კრულვა. ჩვენ დღეს ვბეჭდავთ ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს მენშევიკების მთავრობას. ეს დოკუმენტი არის მენშევიკური მთავრობის სასიკვდილო განაჩენი, უნდობლობის აქტი, ამ აქტს ხელს აწერენ ყველა არამენშევიკური პარტიები, დეე, წაიკითხეთ თქვენვე ეს აქტი, ამ აქტის თვითეულ სიტყვაში ჩანთხეულია ქართველ ახალგაზდას უწიკვლო სისხლი, რომელიც ასე დაუზოგველად, ასე ხარბად და ეგოდენ უმიზნოთ უმსხვერპლია მენშევიკებს; შეერთებულმა ფრაქციებმა კრულვა მიუძღვნეს მენშევიკების მთავრობას, მაგრამ ამის მაგიერ, რომ უკანასკნელ წუთებშიაც მენშევიკების მთავრობას ყურადღება მიექცია ხალხის ამ განაჩენისათვის, ის არა თუ არ გადადგა, ბათომის ხალხის და დამფუძნებელი კრების ყველა არამენშევიკურ ფრაქციების წყევა-კრულვის დროს ჩაბრძანდა გემში და კონტრ-რევოლიუციას შეაფარა თავი.

თქვენ, ჩემო მკითხველო, ნუ დაბრმავდები ერთ წუთას პურის უქონლობით, მიმოიხედე ნაცნობს ისტორიაში და სთქვი: მერამდენეჯერ არის მენშევიკების ღალატი ქართველობისა?

მენშევიკებმა დემოკრატიის სახელით ჩაიდინეს ის, რასაც თავის ვიწრო ინტერესებისათვის სჩადიოდნენ ძველად ჩვენი თავადები და სხვაგან ასეთივე ბატონები. საქართველოს ისტორია ისტორიაა დამარცხებულ მეფეთა უცხოეთში გაპარვისა. საქართველოს დამარცხებული მეფეები ყოველთვის უცხოეთში გაიქცეოდნენ და იქიდან მოუხმობდნენ თავიანთ მიზნებისათვის უცხო ძალას.

ასე მოხდა დღესაც. ძველი მეფეების მსგავსად მენშევიკები გაიქცნენ უცხოეთში უცხოელების დახმარებით თავიანთი საქმეების გასაკეთებლად. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქართველი მეფეები ხან სპარსეთს სთხოვდნენ შველას, ხან ოსმალეთს, ხან კი რუსეთს, დღეს კი მენშევიკები შველასა სთხოვენ ხან ინგლისს, ხან საფრანგეთს, ხან იტალიას და მის ავან-ჩავანებს.

ოჰო, რა რიგ მეორდება ჩვენი ნაცნობი ძველი ისტორია!! რაღას ვაწვალებდით და ვკიცხავდით ჩვენს წინაპრებს თუ ჩვენვე ვიმეორებდით მათ პოლიტიკას, მათ ტაქტიკას?

მაგრამ მენშევიკები ალბად აქაც გამონახავენ გამოსავალს, გამამართლებელ სიტყვას, იმათ ტვინი და ენა ხომ იმიტომ აქვს რომ ლაქიასავით იმსახურონ? მაგრამ რაგვარადაც არ უნდა ამუშაონ მათ თავიანთი თავის ქალა იმას ვერასოდეს წაშლიან ისტორიის ფურცლებიდან, რომ ისინი გაექცნენ რევოლიუციას სამუდამოთ და შეუკავშირდნენ კონტრ-რევოლიუციას. საფრანგეთის რევოლიუციამ გაუქცია ბურბონთა მთელი ხროვა და ეს ხროვა რეაქციონერ ევროპას სთხოვდა შველას. ასეთივე სურათია აქაც. მენშევიკებმა გაყიდეს რევოლიუცია და შველასა სთხოვენ რეაქციონურ ევროპას. თუ მენშევიკური მთავრობა [illegible] ოდნავ მაინც [illegible] წმიდათა წმიდას რევოლიუციისას როგორ მოხდა, რომ ის მიბრძანდება რეაქციის გემებით და თავს აფარებს რეაქციის ნავთსაყუდელს. რა უნდა რევოლიუციას რეაქციასთან? თუ მენშევიკობა რევოლიუციონური მოვლენაა რად იგი არ მიდის საშველად რევოლიუციისთვის?

დიახ, ევროპის ძველი მტარვალები ევროპის მტარვალებში პოულობდნენ შველას, ასე იქცეოდნენ ძველი ჩვენი მეფეები. ასე მოიქცნენ მენშევიკებიც. ეს პოლიტიკა აშკარა რეაქციონური პოლიტიკა იყო ყოველთვის, აშკარა არა ეროვნული, აშკარა მოღალატური და ეს რეაქციონური, ანტიეროვნული და მოღალატური პოლიტიკა დღეს განაღდა მენშევიკების მთავრობამ.

მე არა ვარ ბოლშევიკი, მაგრამ შემიძლიან კატეგორიულად განვაცხადო: მაშინ, როცა რუსეთის რევოლიუცია დამარცხდება, რუსეთის ძალები ლენინები, ტროცკები, ჩვენი ორჯონიკიძე მახარაძეები და სხვები შველას ანტანტასთან კი არა ნახავენ, არამედ ან ციხეში, ან კატორღაში, ან ბაწარზე და ან როზა ლუქსემბურგთან, ან [illegible] სადმე ტროპიკულს ტყეში. მათი გზა იქნება გზა არა რეაქციისა, არამედ გზა ტანჯული ხალხისა, გზა მაშვრალებთან და არა გზა ევროპის კაპიტალისტებთან.

დასწვით ყველა ის ფურცლები, რომელნიც მენშევიკურ სიტყვიერებას და მწერლობას შეუქმნია თავიანთი ხრახვების გასამართლებლად და თქვენ თვით მათს ნაბიჯებსა, ფაქტებში და ისტორიულ შედარებებში იპოვით იმ საბუთებს, რომლითაც უნდა შევამკოთ მენშევიკების შუბლი.

ისტორიამ არ იცის ერთი შემთხვევაც კი, როცა მენშევიკები ყოფილიყვნენ საქართველოს სადარაჯოზე ისინი მხოლოდ თავიანთ პარტიულ სადარაჯოზე იდგნენ. ჩვენ დღეს ვიმყოფებით ისეთს ხანაში კი არა, როცა შეგვეძლოს სამშობლოს ინტერესები განვსაჯოთ ვიწრო პარტიული ინტერესებით, არა, ეს სირცხვილია და [illegible] სინიდისით. დღეს ხდება ყველგან და ყველაფერში ძირ-ფესვიანი გადატრიალება ცხოვრებისა და ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი ერის სადარაჯოზე არა პარტიულის მოსაზრებით, არამედ ყოველგვარ მოტივის და პარტიის გარეშე.

მოგვეცით საქართველო—[illegible], გაამტკიცეთ საქართველო სიგანით და სიღრმით, აღადგინეთ ქართველობა ისტორიით, კულტურით—ჩვენ ვიქნებით ჯოჯოხეთთანაც, ჩვენ დავწვავთ ყოველ ჩვენს საკუთარ აზრს და მიზანს. ეს არის ჩვენი ურთი-ერთობა საქართველოსთან.

მენშევიკების ეროვნულ პოლიტიკას კვირას იცავდა მენშევიკი [illegible], იმ მეტად რთულ პირობებში მენშევიკობამ სამშობლოს წინაშე [illegible] ფარნიევის სახით. ნუ თუ კიდევ იმდენად დაკოპლებულია, [illegible] ქართველი, რომ თვით ამ ფაქტით არ გაზომოს მენშევიკების სიყვარული საქართველოსი. ფარნიევი და საქართველო! მენშევიკები და საქართველო!!—აი სირცხვილი, აი უბედურება ქართველი ხალხისა.

ასე არა სჯის მენშევიკობის ტვინი. ეს პარტია ეროვნებასაც, რევოლიუციასაც, ყოველივე უდიდეს მოვლენას სჭრის პარტიულ ჯიბის, პარტიულ კუჭის თვალსაზრისით. მენშევიკების მთელი პოლიტიკა არა თუ სამშობლოს ღალატის პოლიტიკაა, ის რევოლიუციის პოლიტიკის ღალატიც არის.

მენშევიკები ამბობდნენ: ჩვენ არ გვესმის რევოლიუცია აზიაში, ჩვენ არ გვესმის სოციალიზმი რუსეთში, ჩვენ პირ-

ვილიც და მეორეც გვესმის ევროპაში, ევროპიდან აზიაში. მართლაც, რა მშვენიერი, რა ლამაზი თეორიაა! ეს ბრძნული აზრი მხოლოდ სოლომონ ზურგიელიძეს გამორჩა ჩვენში.

მაგრამ ვნახოთ, არის თუ არა ეს აზრიც აშკარა რეაქციური?

როდის უარყვეს მენშევიკებმა რუსეთი? როდის აქეთ გახდა ნოე ჟორდანიასთვის რუსეთი ბარბაროსობის სამშობლოდ? მაგრამ ვიდრე ამ კითხვაზედ პასუხს მივცემდეთ, ჩვენ გვინდა ვიკითხოთ: იცის თუ არა მკითხველმა ხალხმა, რომ დღემდე ჟორდანიას მთელი მუშაობა საქართველოში იმ მთავარ დებულებას ეყრდნობა, რომელიც ქადაგებდა რუსეთის და რუსობის ძალის ქება-დიდებას. ჟორდანია სახავდა რუსეთს ყოველთვის როგორც საქართველოს განათლების უდიდეს პირობად, იგი მიაჩნდა მას რევოლიუციის აკვნად, მსოფლიოში ახალ მოვლენების წინამორბედად; ჟორდანიას მიერ რუსეთის განდიდებამ ჩაყლაპა და მოსპო ერთ დროს საქართველოს თავისუფლების იდეაც, რუსეთიდან საქართველოს წასვლა, უბრალო ავტონომია მას მიაჩნდა უბედურებად, რევოლიუციის ღალატად. მაგრამ დღეს კი იმავე ჟორდანიას უბედურებად სწორედ რუსეთთან ლაპარაკი მიაჩნია.

რაშია საქმე? სად მოხდა ცვლილება? რუსეთის მიწა-წყალში, რუსეთის წიგნებსა, ქარხნებსა და ადამიანებში თუ ჟორდანიას თავში?

რასაკვირველია მოხდა აქ ის, რაც მოხდა ეროვნულს საკითხში. მენშევიკები პარტიით ზომენ არა მარტო ეროვნულ სიცოცხლეს, არამედ მთელ რევოლიუციისაც. ვიდრე მენშევიკები ერთგვარ როლს თამაშობდნენ რუსეთის რევოლიუციაში—მათ რუსეთი მიაჩნდათ კულტურის ქვეყნად, რევოლიუციის სამშობლოდ, ხოლო იმ წუთიდან, როცა მენშევიკობა გამოდევნეს რუსეთიდან, რუსეთში ცივილიზაციაც მოისპო, რევოლიუციური ენერგიაც და ყველაფერიც. ასე სწერენ მენშევიკები ისტორიას.

რასაკვირველია რუსეთი 1917 წლის ოქტომბერში ის იყო, რაც იყო იმავე წლის სექტემბერში, მაგრამ საკმაო იყო ჩხეიძე-წერეთლის გამოდევნა პეტროგრადიდან, რომ მთელ მენშევიკობას სხვა ხმაზე დაეწყო ლაპარაკი. და რაკი რუსეთის წინააღმდეგ ლაპარაკი, რუსეთის რევოლიუციის ძაგება და გათახსირება ნიშნავდა ამავე დროს რეაქციონურ სულისკვეთებას, რევოლიუციის ღალატს, ამიტომ მენშევიკების რუსეთიდან გაქცევის პირველ დღიდან იწყება მენშევიკების რეაქციური ნაბიჯები რაიც იმაში გამოიხატა, რომ მენშევიკობა ბოლო დროს ძალიან დაუახლოვდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას, ხოლო იმდენად დაშორდა სხვა მემარცხენე პარტიას, რაიცა დაგვირგვინდა რასკოლით პარტიაში და ოპოზიციის გაერთიანებაში.

ამგვარად მენშევიკობამ უარყო რუსეთი იმიტომ კი არა, რომ ის უარსაყოფი იყო, არამედ იმიტომ, რომ რუსეთმა უარყო მენშევიზმი.

საგარეო პოლიტიკაში ამ პროცესმა მოიტანა სათანადო ნაყოფი. მსოფლიოში ორი ძალის ჭიდილი იყო: რევოლიუციის და რეაქციის, პირველი იყო რუსეთი, მეორე კი—ანტანტა და რაკი მენშევიკობა რუსეთიდან იყო გამოძევებული, ცხადია თუ საით წავიდოდა იგი?—იგი მართლაც რეაქციისაკენ წავიდა, თავს შეაფარა ანტანტას. მართალია, მენშევიკური მთავრობა ხშირად პროლეტარიატსაც ახსენებდა, მეორე ინტერნაციონალსაც, მაგრამ განა ლოიდ-ჯორჯიც არ ახსენებს პროლეტარიატს? და ინტერნაციონალის ძალას იმდენად კი არა, რამდენადაც ის იყო ძალა რევოლიუციის, არა, რამდენადაც მეორე ინტერნაციონალს მჭიდრო კავშირი ქონდა ანტანტის ინტერნაციონალთან, ხალხთა ლიგასთან.

დიახ, მენშევიკების მთელი პრაქტიკა უკანასკნელ ხანაში არის პრაქტიკა რევოლიუციის ღალატის, რეაქციის სამსახურის. მაგრამ ვინაიდან რეაქციის მეტად მელე სხეულს ვერას დააჩნევდა მენშევიკების პარტია, ამიტომ მენშევიკების სამსახურმა რეაქციის წინაშე მიიღო უბრალო ლაქიობის ხასიათი.

ვისთან არ გინდოდათ არ ნახავდით მენშევიკების სმოკინგებს! ალექსეევადან დაწყებული გათავებული ლოიდ ჯორჯამდე მენშევიკები მუდამ ერთ წერტილს ურტყამდენ—ეს წერტილი გახლდათ რუსეთის რევოლიუცია!

იყვნენ ჩვენში გერმანელები და იცით ორიენტაცია მენშევიკების? იყვნენ ჩვენთან ინგლისელები და იცით ორიენტაცია მენშევიკების? იმარჯვებდა დენიკინი და იცით მენშევიკების მოლაპაკება დენიკინელებთან?

ერთის დროს ცნობილი რევოლიუციონერები გახდნენ დიპლომატების როლში და შეიქმნა საშინელი ყიდვა-გაყიდვა რუსეთის რევოლიუციის ყველა პრინციპებისა.

და ჩვენ გადაჭრით ვამბობთ: მენშევიკების მთელი პოლიტიკა იყო და დღესაც არის პოლიტიკა რევოლიუციის ღალატისა. დიე წარმოვიდგინოთ, რომ მენშევიკებს ლაპარაკიც კი არ შეეძლიათ რუსეთის რევოლიუციაზე, რომ მათ რევოლიუცია მხოლოდ ევროპაში სწამთ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მითხარით რომელი რევოლიუციონური ფრონტი გააძლიერა ევროპაში მენშევიკობამ? რას აკეთებენ მენშევიკები ევროპაში? რისთვის წავიდნენ მენშევიკები ევროპაში? რევოლიუციის საქმის გასაკეთებლად, ევროპის მუშების ასამოძრავებლად, საერთაშორისო რევოლიუციის მოსახდენად?—რევოლიუციის შეურაცხყოფაც არის ამ კითხვაზე დასტურის მიცემა.

ჩვენ ვიცით ევროპაში მენშევიკების რევოლიუციონური მოღვაწეობა. მენშევიკების დიდი „რევოლიუციონერებს" ჩვენ ვიცნობთ ევროპიდან დაბრუნებულებს. ეს გახლდათ რევოლიუციონურ ბრძოლაში დაღლილი და ნაბრძოლეველი პირები კი არა, არამედ ჩასუქებული, გაევროპიელებული, ვალიუტით შემდიდრებული რევოლიუციის ვიგინდარები.

ემსახურებოდნენ კი მენშევიკები რუსეთის რევოლიუციის თუნდაც იდეას, ან საერთაშორისო რევოლიუციას ევროპაში? წერეთლების მთელი კამპანია ევროპაში მხოლოდ ერთ რამეს ემსახურებოდა: ბოლშევიკების ლანძღვა-გინებას ევროპის მუშათა შორის, რუსეთის ტალახში ამოსვრას, ევროპაში სოციალისტურ რევოლიუციის შეჩერებას.

მენშევიკებს ხშირად უთქვამთ ტფილისში: ევროპაში შეიძლება სოციალისტური რევოლიუცია, მაგრამ მომიყვანეთ თუნდაც ერთი სტრიქონი სიტყვისა, ერთიმეორე საქმისა სოციალისტურ რევოლიუციის სასარგებლოდ ევროპაში მენშევიკების მიერ. რა თქმა უნდა ასეთ საქმეს და სიტყვას ვერავინ გვანახებს.

მენშევიზმი გადაიქცა თანამედროვე რეაქციის ღვიძლ შვილად და ის მოღალატეა როგორც ნაციონალური ისე ინტერნაციონალური სოციალისტური რევოლიუციისა.

კვირის კრებაზე, მენშევიკები ამბობდნენ: შეხედეთ რუსეთს, დიდი რუსეთი ინგრევა, დაგვიმტკიცეთ, რომ საბჭოთა სისტემა არ ნიშნავს ნგრევას, ჩვენც მივიღებთ მაგ სისტემასო. აი ტიპიური ფილისტერები და მოღალატენი რევოლიუციის! მეოთხე წელი მიდის რაც სამ მილიონამდე რუსეთის ინტელიგენცია მოშორდა რუსეთს და იმის მაგიერ, რომ ყოველ გაქცეულ მუშაკს თითო აგური და თითო ქვანახშირი მიეტანა რუსეთის ქარხნების გასათბობად, ჩვენ ვხედავთ ამ ხნის განმავლობაში სისტემატიურ მუშაობას რუსეთის გაღატაკების, გავერანების და გატიალების?

ვისი ძალები გაადიდა და გაზარდა მენშევიკებმა? მენშევიკების ლაშქარი ევროპაში ზრდის არა რევოლიუციის ლაშქარს, არამედ იმ წყებას გენერლებისას და სათუთი ინტელიგენტებისას, რომელსაც ამშვენებს დენიკინი, ვრანგელი, სავინკოვი, კერენსკი, ალექსინსკი ბურცევი—ეს პლეადა თანამედროვე იმპერიალიზმის ნოქრებისა. აი ის ოჯახი, სადაც დღეს საპატიო სტუმარი იქნება ჟორდანია, წერეთელი, გეგეჭკორი და სხვანი.

ამ კონტრ-რევოლიუციის ახალმა ძალებმა ევროპას მოუტანეს საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციას მხოლოდ ახალი ენერგია რეაქციისა, ზიზღი და შური საერთაშორისო რევოლიუციას და ამის ნაყოფს ჩვენ უკვე ვხედავთ...

მართალია, საერთაშორისო რევოლიუცია ჯერ კიდევ არ მომხდარა ევროპაში. მაგრამ აქვს თუ არა საერთაშორისო რევოლიუციის შესასუსტებლად მნიშვნელობა იმ გარემოებას, რომ სამი მილიონი რეაქციის მსახური რევოლიუციური ტერმინოლოგიით შეესია ევროპას და ევროპიელ მუშების გამხნევების მაგიერ ისინი აფრთხობდნენ და აშინებდნენ ევროპის მუშებში რევოლიუციის გრძნობას.

მართლა საბრალო რუსეთი! ჰერცენიდან, ბაკუნინიდან, ჩერნიშევსკიდან და კროპოტკინიდან სადამდე დაეცა რუსეთის ოდესღაც რევოლიუციის ემიგრანტები!

და საშინელება: საერთაშორისო რეაქციას ჯერ ამდენი რევოლიუციის მოღალატე არასოდეს უშოვნია.

ეს სამარცხვინო პლეადა მშრომელმა კაცობრიობამ უნდა მოსპოს თუ მას სურს გაწმენდა, თუ მას ნამდვილად სურს რევოლიუცია და სოციალიზმი.

კვირას, მენშევიკებმა მიიღეს ფაქტად საბჭოთა სისტემა. თუ ეს მართალია უარყოფენ თუ არა ისინი ფაქტიურად საქართველოს მთავრობას, რომელიც გაიქცა ევროპაში და თუ მართლა უარყოფენ აცნობენ თუ არა ევროპას, რომ საქართველოს მენშევიკებიც უარს ამბობენ გაქცეულ მთავრობაზე? გამოიყვანეთ ბატონებო [illegible] კატეგორიულად, მაგრამ ვიდრე ამას [illegible] სჩადიხართ [illegible] ეს ლაქიობა, გაიძვერაობა, ერთის თქმა მეორეს კეთება, თეთრი კბილების გამოჩენა, შავი ზრახვების ტარება?

კვირას, მენშევიკებმა განსაკუთრებით ფედერალისტებზე იყარეს ჯავრი. აი აქ არის ნამდვილი სახე მენშევიკების მახინჯი სახისა. გაშალეთ სოციალისტ-ფედერალისტების პოლიტიკა მთელ [illegible] ვის სიგრძე-სიგანით: რას ვაკეთებდ[illegible]

ჩვენს პარტიას ორი მთავარი ხაზი ახასიათებდა, ორი მომენტი, ორი ხანა: პირველი ხანა ეროვნული შემოქმედების ხანაა, მეორე—რევოლიუციის შემოქმედების. პირველ პერიოდში ჩვენ ჩავატარეთ ბრწყინვალედ მენშევიკების ეროვნული ღალატის მოსპობით, მეორე პერიოდს ჩვენ ვატარებთ ასევე სიმტკიცით—მენშევიკების რევოლიუციის ღალატის მოსპობით.

ჩვენ ყოველთვის მესაფლავე ვიყავით მენშევიკებისა, ეს იციან მენშევიკებმა, ამას გრძნობენ ისინი, ამიტომ მენშევიკებს არავინ ისე არა სძულთ დედამიწის ზურგზე, როგორც ფედერალისტები.

ჟორდანია აცხადებდა კვირის კრებაზე: ჩვენ შეუთანხმდებით ყველას, მაგრამ არასოდეს შეუთანხმდებით ფედერალისტებს, ზიზღი ფედერალისტებსა!—აი მთელი სული ამ ვიგინდარებისა და ჩვენც ვამბობთ ჩვენს არა ერთხელ ნათქვამს სიტყვებს: ეროვნული თავისუფლება, რევოლიუციის სიცოცხლე მუდამ ლიტონი სიტყვები დარჩება, ვიდრე ეროვნული საქმის ყოფილი მოღალატენი და რევოლიუციის საშინელი ეხლანდელი მოღალატენი სამუდამოდ არ ჩამარდებიან ისტორიას.

თედო ღლონტი.

მოწოდება

საქართველოს რევოლიუციონური კო-მიტეტისა ყველა ქვეყნის მშრომელთა მიმართ.

იმ რევოლიუციონურმა გადატრიალებამ, რომელმაც საქართველოში ჩამო[illegible] გდო საერთაშორისო იმპერიალისტ[illegible] რეაქციის მსახურნი და დამკვიდ[illegible] მუშათა და გლეხთა ბატონობა, შეგ[illegible] საბაბი მისცა, რომ სიცრუის და ცილი[illegible] წამების კომპანია ეწარმოებინათ ერთი მხრით საბჭოთა საქართველოს, მეორე მხრით—საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მეტაფიზიკოსის დღიური.

(გაგრძელება)

სწორედ 1000 წლიდან იწყება ჩრდილოეთური კულტურზონა, ამიტომაც შპენგლერის აზრით დასავლეთის კულტურა ამ წელს იწყება.

მაშ თუ ანტიკა და დასავლეთ ევროპა, ორი ერთი მეორისაგან განსხვავებული ფენომენებია, აქ შედარებაც შეიძლება. ანტიკას აპოლინური სული აქვს.

დასავლეთ ევროპას—ფაუსტური.

აპოლინური სული—სიმშვიდე და სისადავე.

ფაუსტური სული, მოუსვენარი და ვნება უშვრეტი.

სიმშვიდე ყოფნის სიხარულს ემყარება.

მოუსვენრობა ქონადითაა მოწყურვებული.

ანტიკური სული შეზღუდულ ყოფნაში განისვენებს.

ფაუსტური—წრეშეუწერელს მარადისობაში როკავს.

Zum Grensenlozen grenzlnlos Vertrauen.

იწვევს შპენგლერი გოეთეს.

აპოლინური მშვიდად ყოფნა დროის განქრობას ლამობს. მთელი მისი გულისყური აწმყოშია მომწყვდეული.

ფაუსტური მოუსვენრობა წინააღმდეგ დროის ფუნქციაა.

სივრცის შეგნებაშიაც განსხვავდება ანტიკა და დასავლეთი.

დღეს ყოველ ტურისტს მოვლილი აქვს ის მანძილი, რომელიც ოდისევს განუზომელ გზად მიაჩნდა. ჰომერის ჰორიზონტი შეზღუდული იყო.

სხვაა გოეთე და დანტე.

დღეს ყოველი გრეცისტი მოგიძებნით იმ ადგილებს, სად ილიონის ბრძოლა იყო, სად ოდისევის ნავი დაელეპა, სად სად კალიფსოს კუნძული, სადაც არგონავტები იყვნენ. მოძებნეთ გეოგრაფიის ქარტაზე სად იყო დანტეს ჯოჯოხეთი, ან [illegible]

ბოლოს ხელოვნებაში: აპოლინური სული პლასტიკას ეტრფის. მისი უკანასკნელი სიტყვა—ფიდიას და პრაქსიტელეს.

ფაუსტური—მუსიკაში გრგვინავს და შრიალებს.

იგი რიჰარდ ვაგნერში პოულობს თავის მაესტროს.

ბერძნულ დორიკას, შპენგლერი გოტიკას უპირისპირებს.

იონიის სტილის აყვავებას, ბაროკს.

პერგამენერებს — რიჰარდ ვაგნერის ბაირეიტის დროს.

ორივე მომაკვდავი გმინვაა, მომაკვდავ კულტურათა. (sic)

კანტი არისტოტელესის ანტიპოდია.

უდიდესი და უკანასკნელი დიდი ფილოსოფოსი დასავლეთისა.

ნაპოლეონი ალექსანდრეს ანტიპოდი უკანასკნელი დიდი მამაკაცი იმ ევროპაში, რომელზედაც გოეთე იტყოდა: ვაჲ თუ ევროპა დავრდომილთა ლაზარეთად გადაიქცესო

ალექსანდრეთი დაიწყო ანტიკაში ეპოქა ცივილიზაციისა.

ნაპოლეონით—ევროპის დიდი ცივილიზაცია ფეხზე დადგა და აქ იწყება შპენგლერისათვის მწუხრი დასავლეთის კულტურისა.

საბერძნეთის შემოქმედებითი გენია რომაულმა „გონებამ" ჩანთქა.

საბერძნეთის ბრწყინვალე კულტურა, რომის მშრალმა ცივილიზაციამ.

ის „სული", რომელიც მე-18 საუკუნის მიწურულამდის ამშვენებდა ევროპას მე-19-ეში ინტელექტმა ჩანთქა, როგორც ფარაონის მსუქანი ძროხები.

შემოქმედებითი გენიალობის ნაცვლად იწყება ანგარიშიანი რაციონალობა.

ანტიკურმა რაციონალიზმა წარმოშვა სტოიციზმი, თანამედროვე დასავლეთ ევროპიულმა—სოციალიზმი.

ისტორიულ-ფილოსოფიური თვალსაზრისით სტოიციზმი და სოციალიზმი ანალოგიის მოასწავ[illegible] დასავლეთ ევროპიელის ეთიური მონოთეიზმი—ეს სოციალიზმია. ამ მორალის ბაირახტართ—ქვეყნის გასაუმჯობესებელთ უწოდებენ.

ფაუსტურ კულტურისათვის, ცხოვრება-ბრძოლაა. ჰერაკლიტე ჰფიქრობდა: ყოველივე მდინარებს. (თავის ნებით, თავისთავად.) ფაუსტი და მარქსი, კანტი და ლუთერი ცხოვრების ძლიერი მესაჭეებია, ისინი წინ ეწევიან ცხოვრებასა და ადამიანობას უკეთესს ნაპირისაკენ, უკეთესს მომავლისაკენ. ანტიურ ჰერაკლიტისებურ სამყაროში არ არსებობს მიზან შეცნობილი ჰქმნადი, თვით მოძრაობა ვითარცა იმპულსი და თვალისჩენა ცხოვრებისა (და ეს დამახასიათებელია მთელი ანტიკური მსოფლიო შეგნებისათვის).

ბავშვები სხედან ზღვის ნაპირზე, ბავშვები უდარდელად მღერიან, იღებენ პეშვით ოქროვან ფხვიერ ქვიშას, თითოსა და თითს შორის სრიალებს ქვიშა, ბავშვები თამაშობენ, ბავშვები თავს იქცევენ, ქვიშა მოძრაობს თამაშში და ნებივრობაში. ასე მოძრაობს მსოფლიო ენერგია მაღლიდან ქვევით, მარცხნით და მარჯვნით, არსად წინ, არსად უკან, არსად ზევით, არსად მიმართულება, არსად მიზანმიღწევა.

აქ არ არის გერმანული „შტურმი და დრანგი". არსად ბრძოლა და ბრძოლის წყურვილი, რომელიც ასე მკაფიოდ ისმის როგორც ზარატუსტრაში, ისე მარქს-ენგელსის კომუნისტურ მანიფესტში. ავიღოთ რელიგია, ქრისტიანლი ასქეზი ქრისტიანული განდეგილობა აღმოსავლეთში და ევროპაში. საკმარისია გავიხსენოთ ფრანცისკანელები და დომინიკელები. თვით ბერობას ევროპაში ადამიანურ ცხოვრების, მიწიერი ცხოვრების უკეთ მოწყობის აზრი ასულდგმულებს. ქრისტე იმ ქვეყნის მოწყობისათვის ზრუნავს. კუნძული უტოპია კი მიწაზე ეგულებოდა თომას მორს ანტიური სულისათვის—ზედისწრა—„მოირია" იყო, ბრმა, წამიერი და უკავშირო „ეგება". ხვედრი ოიდიპოს მეფისა, აჯას და ჰერაკლესი ეს იყო ხვედრი გაუხარებელი ადამიანობისა.

სიძლიერე მოთმენაში, აი ანტიკური პასიური გმირობა.

სიძლიერე ბრძოლაში, აი ნაპოლეონის, ასე დღევანდელი პროლეტარიატის აქტიური ჰეროიზმი.

ბუდისტური ნირვანა, ბერძნული „კატარზის" სულის (განწმენდა) ანტიური სტოიკისებური მყუდროება როგორი დიამეტრალურადაა დაპირდაპირებული ფაუსტის პსიქიურ რევოლიუციასა და შექსპირის დრამის ტრადიზმთან! წარმოიდგინეთ დიოგენესს და სოკრატესს რომელიმე მოდერნულ დასავლეთის დიდ ქალაქში ორივეს გლახაკების თავშესაფარში წაიყვანდა პირველ შეხვედრილი პოლიციელი. ფრიდრიხ ნიცშე რომანტიზმით შეპყრობილი დონკიხოტი იყო, რომ ქრისტიანიზმის ქარის წისქვილებს ებრძოდა დასავლეთ ევროპაში. ქრისტიანული თანაგრძნობითი მორალი ევროპაში არასოდეს არსებულა. აქ მუდმივი ღირებულება მხოლოდ კაჟის ადამიანებს აქვთ, აქ მამაკაცური ელემენტი სჭარბობს ყველგან. აქ „ქერა ბესტიების" ქვეყანაა. ვიკინგები და დღევანდელი სპორტსმენი ინგლისელები სულ არ ჰგვანან ოდისევის სენტიმენტალურ მხლებლებს, რომელთაც იმდენი ნებისყოფა არ შესწევდათ რომ სირენების სიმღერის ჯადოსნურობისათვის გაეძლოთ. პერიკლეს და თემისტოკლეს რბილ კანიანი ადამიანები იყვნენ, ალექსანდრე მაკედონელი მეოცნებე, სულ სხვა იყო ცეზარი,—იგი ჩინებულად ანგარიშობდა. იგი კარგი სახელისათვის კი არ ებრძოდა გერმანებს, არამედ იმისთვის, რომ ტყვედ ჩავარდნილი გერმანები რომის მონათა ბაზარზე გაეყიდა და თავისი ვალები გაესტუმრებია. ნაპოლეონი თუმცა გოეთეს ვერტერს ჯიბით დაათრევდა ეგვიპტეში, მაგრამ შეუბრალებელი ტირანი იყო, რომელიც გამო[illegible] ცდილი ქირურგის გამბედაობით ათი[illegible] ათას ტყვეს ყელს გამოსჭრიდა ხოლმე.

სად იპოვნით ან აღმოსავლეთში ან [illegible] ჰელაში ისეთი დიდი სტილის მსოფ[illegible] ლიოს გამაუმჯობესებელთ, მსოფლიო[illegible] რევოლიუციონერებს, როგორიც იყვნენ გრეგორ VII, ჰაინრიხ IV, მარქსი, [illegible] რესი და იგნატიუს ლოიოლა; სად ყო[illegible] ფილა ისეთი დიდი სტილის ბრძოლა, როგორიც იყო ბრძოლა შტაუფენებსა [illegible] ველფებს შორის, როგორიც პარიზში 1789 და ბერლინში 1918—19 წლებში, ეს გახლავთ ფაუსტური კულტურა. საქმე და ისევ საქმე სჩანს დასავლეთში პირველ რიგზე.

ნიცშეს უწადა: ახალი მაღალი ხარისხის ადამიანთა ჯიში წარმოშობილიყო, რომელიც თავის ძლიერი ნებისყოფის, დიდი ცოდნის და გავლენის წყალობით ევროპის დიდ დემოკრატიას „მოიხმარდა, ვითარცა მოქნილ იარაღს, მთელი დედამიწის ბედის ხელში დასაჭერად, მთელი მსოფლიოს გადასაკეთებლად.

როგორც ჰხედავთ ეს დიახაც დიდი სტილის კულტურის ნაყოფია. მთელი დედამიწის, მთელი ადამიანობის ბედისწერის ხელში აღება და მსოფლიოს გადაკეთება! პლატონი პატარა სიცილიაში წავიდა თავის სახელმწიფოს იდეალის განახორციელებლად, რა[illegible] სიცილიაში გაბატონებულ ტირანი[illegible] თვის ერჩია, რომ პლატონიური სახ[illegible] მწიფო მოეწყო.

ნაპოლეონს არც ერთი ტრაქტ[illegible] არ დაუწერია იდეალურ სახელმწიფო[illegible] უბრალო კორსიკელმა სერჟანტმა ომ[illegible] გამოუცხადა მთელ ქვეყანას, მთელ[illegible] ევროპა მახვილით დაიმორჩილა (რომ[illegible] ამ გზით. მსოფლიო სახელმწიფო აეშ[illegible] ნებია.

(შემდეგი იქნება)

კოწია გამსახურდია.

ამოფდებული მენშევიკების მთავრობა, რომელსაც მიაჩვს თავის სამარცხვინო გაქცევის დროს გატაცებული ხალხის სიმდიდრე, გზა და გზა საქართველოს შესახებ ავრცელებს გაუგონარ ბოროტ ცრუ ხმებს, რომ დახმარება მიიღოს იმპერიალიზმისაგან საქართველოში კვლავ შემოსასვლელათ. ჩვენამდი მოაღწია ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებმა ევროპის პრესისა, რომელიც მუდამ მომხრე იყო პატარა ერების მიმართ მათრახის ხმარებისა, დღეს კი ფარისევლურად გაცოფებული გაჰკივის იმის შესახებ, თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა მსხვერპლი რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის ძალადობისა და თავდასხმისა; აქედან კი გამოყავთ დასკვნა ინტერვენციის საშუალებით საქართველოს ვითომ დამონავებელთაგან განთავისუფლების აუცილებლობის შესახებ, ამბობენ თითქოს ჩვენ საქართველოში შემოგვეტანოს სიკვდილი და დანგრევა. მაგრამ, დეე იცოდენ ყველა ქვეყნის მშრომელებმა, პატიოსანმა მოქალაქეებმა, და დასასრულ დეე იცოდნენ თვით მატყუარებმა და ცილის მწამებლებმა, პროლეტარული რევოლიუციის მოზიზღენი რომ არიან, რომ საქართველოში ძალა-უფლება მშრომელთა ხელში გადავიდა, როგორც შედეგი მუშათა, გლეხთა, დამონავებულთა, შეურაცხყოფილთა და მენშევიკურ მთავრობის მიერ განადგურებულ ხალხთა აჯანყებისა. საერთაშორისო ყაჩაღური კაპიტალის ლაქიებისაგან განთავისუფლებულ საქართველოში დღიდან რევოლიუციონური ხელისუფლების დამკვიდრებისა მეფობს აქ ჯერ არ ნახული წესრიგი, მშრომელთა თავისუფლებით განმტკიცებული. თვე ნახევარია, რაც აქ ბატონობს მუშურ-გლეხური მთავრობა და ამ ხნის განმავლობაში ადგილი არ ქონია არა თუ არც პოლიტიკურ-ტერორისტულ აქტს, არამედ არ ყოფილა შემთხვევა მოკვლისა დემოკრატიულ მთავრობის ბატონობის დროს, რომელიც ამჟამად ჩამოგდებულია. გამარჯვებულმა მშრომელმა ხალხმა თავის გამარჯვების დროს სულგრძელად მიანიჭა ყველა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს სრული ამინისტია. და თუ მენშევიკების მიერ გაცარცულ და გაქურდულ საქართველოში ამ ჟამად შიმშილი არ არის, ეს იმის წყალობით. რომ მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები საქართველოს აწვდიან პურს, ნავთს და ყველა ხალხისათვის აუცილებელ საგნებს. რომლის მიცემაში ასე ყაჩაღური გულგრილობით უარს ეუბნება იმპერიალიზმი იმ ხალხს. რომელიც ცდილობს დამმონავებელთაგან განთავისუფლებას.

იმპერიალიზმის დაქირავებულ აგენტების ცდაა დახატონ საქართველოს მშრომელთა მასის რევოლიუციონური განთავისუფლება, როგორც დაპყრობა ერთის მხრით და, ინტერვენციის მოწვევა მეორეს მხრით, აი ეს არის ახალი პროგრამა საქართველოს მუშების, გლეხების და ყველა მშრომლების დამონავების. მათზე ძალით იმპერიალისტური უღლის დადგმის, იმ უღლის, რომლიდანაც ისინი განთავისუფლდნენ თებერვლის რევოლიუციით და რამოდენიმე წლის მედგარი ბრძოლის საშუალებით. საქართველოს რევოლიუციონური მთავრობა ყველა ქვეყნის მშრომლებს მიუთითებს საერთაშორისო მტაცებელთა ახალ ზრახვებზე, რომელნიც სიცრუის და ცილისწამების საშუალებით საქართველოს მშრომელებს უმზადებდნენ ახალ თავდასხმას დამონავების და სოფლის და ქალაქის პროლეტარიატისთვის ლაგამის ამოდების მიზნით. საერთაშორისო რეაქციის შავ განზრახვებს საქართველოს მშრომელთა მასსები წინ დაუყენებენ მკიდრო ერთიანობას, რკინის სიმტკიცეს და მაგარ ნებას და იმედს გამარჯვებისა ყველა იმ მტერზე რომელიც კი მოინდომებს დაპყრობას და საქართველოს მუშურ-გლეხურ ძალაუფლებისათვის შეხებას. დეე იცოდნენ ანტანტის დამქაშებმა, მის გაკოტრებულმა მსახურებმა-ყველა ქვეყნის მენშევიკებმა, რომ საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლება დაყრდნობილია მშრომელთა მასსებზე და მხოლოდ მათ და მათ მიერ წარმოყენებულ რევოლიუციონურ მთავრობაზე გადაბიჯებით შეიძლება საქართველოში აღდგენა ხალხის აჯანყებებით წაქცეულ მტაცებლურ კაპიტალის და იმპერიალისტური ტახტისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი: **მახარაძე, ორახელაშვილი, ელიავა, ოკუჯავა, დუმბაძე, ნაზარეტიანი, თოდრია, ელისაბედაშვილი, გეგეჭკორი, ქავთარაძე და კვირკველია.**

ახალი ამბები

— საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლის აპრილის 7 ს დადგენილებით, ამხ. ქოქაშვილი დანიშნულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის დროებითი მოადგილედ.

— **მენშევიკურ დიპლომატების მანდატები.** გარეშე საქმეთა კომისარი ორახელაშვილმა ამა წლის აპრილის 4 გააგზავნინა პარიზისა, ბერლინსა, ლონდონსა, რომსა, და სტამბოლში შემდეგი რადიო.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების, გაუქმებულია საქართველოს ყოფილი მთავრობის დიპლომატიური მანდატები: ბერლინში,—ვლადიმერ ახმეტელაშვილისა, ლონდონში—დავით ლამბაშიძისა, პარიზში—სრულუფლებიან წარმომადგენლისა, ევროპაში—აკაკი ჩხენკელისა და ეკონომიურ წარმომადგენლისა სკობელევისა და კონსულისა, რომში—გიორგი აბხაზისა, სტამბოლში იოსებ გოგოლაშვილისა. გაცნობებთ რა ამას, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა მთავრობებს, ახალ დიპლომატიურ წარმომადგენლების დანიშვნამდე, საჭირო შემთხვევებში მიმართონ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა კომისარიატს.

— **უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის განცხადება.** საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დადგენილების თანახმად, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის უმაღლესი რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე, ი. ტალახაძის და წევრების რუბენის და კოტლიარენკოს შემადგენლობით. დღევანდელ რიცხვიდან შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, რაიც ეცნობება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სამოსამართლო-საგამომძიებლო და ადმინისტრატიულ დამსჯელ ორგანოებს. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის უმაღლესი რევოლიუციონური ტრიბუნალი მოთავსებულია სამოსამართლო დაწესებულებათა შენობებში.

— **ნავთის გადმოქაჩვა ბაქოდან საქართველოში** ნავთსადენის გახსნის დღიდან საქართველოში გადმოქაჩულია ნავთი 500,000 ფუთზე მეტი.

— **სათბობი მასალა რკინის გზებისთვის** გამომუშავებულია გეგმა საქართველოს და აზერბეიჯანის რკინის გზების სათბობის მომარაგების შესახებ ყოველ დღიურად ანგარიშით საჭიროა არა ნაკლებ 38 ცისტერნისა.

— **ორმოების რიცხვი ბაქოში.** პირველ თებერვალს იჭრებოდა 53 ორმო. თებერვალში სხვა და სხვა მიზეზების გამო შეჩერებულ იქმნა 10 ორმოს გაჭრა, დამთავრდა 3 ორმო და დაიწყო 10 სხვა ორმოს გაჭრა. პირველ მარტს იჭრებოდა 50 ორმო.

— **სტატისტიკოსთა კრება.** ოთხშაბათს, 13 აპრილს, საღამოს 5 საათზე ცენტრალ სასტატისტიკო სამმართველოს დარბაზში (ბროსეს ქ. № 4) შესდგება ქ. ტფილისის სასტატისტიკო ორგანიზაციებში ყველა მომუშავეთა საერთო კრება სტატისტიკოსთა კავშირის დაარსების შესახებ.

— **სტატისტიკოსთა რეგისტრაცია.** სტატისტიკოსთა რეგისტრაცია გაგრძელებულია 18 აპრილამდე (ბროსეს ქ. № 4).

რადიო

საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.

პარიზი. 5.4. პარიზის პრესა იტყობინება, რომ სტამბოლიდან მოსულ ცნობების თანახმად, ოსმალეთის სარდლობამ ბრძანება გასცა, რომ ფრონტზე სმირნის რაიონში გაიგზავნოს 35 ათასი კაცი.

ათინა. 5.4. საბერძნეთის მთავრობა ოფიციალურათ უარყოფს ოსმალეთის ცნობას. ვითომ ესტიკეზის რაიონში ბერძნები დამარცხებულიყვნენ.

წითელი კვირა

I

სულმთლად ჩაცურდა უფსკრულში
დღე წარსულ ზნეთა მტვირთველი
და ბრწყინდა სამშობლოს გულზე
კვირა სისხლივით წითელი.
ჩემ სამშობლოში წითლობენ
ხატფელი, თუ სკვითელი,
ქალებსაც მკერდი ისე აქვთ,
ვით ბროწეულის მითელი.
კანტ-კუნტად ვხედებ ნაცნობებს,
ლხენით ავლივარ ცამდისა,
ვკითხულობ ძმების ამბავსა,
პირზე ღიმილი მამდისა.
ის რო იმ მთისას მიამბობს,
მეც სათქმელი მაქვს ამ მთისა...

II

ჰო, მართალია, მოვიდნენ
ჩვენში სხვა ტომის კაცები,
მაგრამ რა არის აქ ცუდი,
გულზე წყვდიადათ სადები.
თუ მოიტანეს მათ კარგი,
რაც გულში ჩაინერგება,
ის უეჭველად ყველაზე
უწინ ქართველებს ერგება.
და თუ მოუძღვით სიცუდე,
ხომ ყველასათვის ცუდია—
მაგრამა მაინც ჩვენი დღე
ბრწყინვალე ბედსა ჰყუდია.

III

გავყურებ და წამს, რო მოვა
თეთრი გიორგი კვლავადა
მომტანი მშვიდი ცხოვრების,
ხვნა-თესვის ბარ-სამკლავადა.
მოვა, ვით წმინდა მომმკალი,
როგორრაც აზრი ქართული,
მკერდზე რომ ვარსკვლავი აზის
ლამაზ ჭრილობად დართული.
ხომ ჭრილობაა ჭრილობა,
მწარე მრავალთა სხვათათვის—
მასაც კი არვის დაუთმობს
გმირი ზამთრის და მკათათვის.

IV

გული ხომ წითელი მქონდა,
წითლად შევიდებ თმასაცა,
ოღონდ მის მადლმა მიცოცხლოს,
გულითა ვსთხოვდე რასაცა.
მიცოცხლოს დიდხანს სამშობლო,
განა მარტო მე—სხვასაცა:—
თავისი მშობელი უყვარს
თხიანს, უთხოს და თხასაცა...

V

რამდენიც გსურდეთ მაწამეთ,
მაინც ამისი ვარ მთქმელი:
ჯერ ქართველი ვარ და მერმე
სხვისთვის სამოთხის აღმთქმელი.
როცა ვიფარავ მე გულით
წითელ სამშობლოს ჩემსასა,
იცოდეთ, ვიცავ სიწითლეს
მსოფლიო ბრძენის თხემსასა.

VI

მაგრამ თუ მოგვატყუილეთ,
გადაგვატარეთ ქლიავსა,
ხალხი მოიდებს თქვენზედან
შურისძიების ღნიავსა
და შევესწრები იმასაც,
იძახდეთ წიაგ-წიავსა
და თქვენი შავი ბუმბული
ველად გაჰქონდეს ნიავსა.

მოწოდება

გმირნო, შემოკრბით! თუ კვლავ თქვენ არა,
თქვენ ხალხს ვინ უნდა უთანაგრძნობლოს?
შემოკრბით ტკბილი ქართულის მღერით
და უპატრონეთ წითელ სამშობლოს.
კმარა გოდება! დრო აღარ არის
მწუხრის გალობით გულსა ვლაქამდე—
გვმართებს, დავიცვათ თავისუფლება
უფრო გულმტკიცედ, ვიდრე აქამდე!..

1921 გაზაფხული.

ი. მჭედლიშვილი.

მენშევიკური მთავრობა.

სტამბოლი 6-4 სტამბოლში ჩამოსულ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას მოკავშირენი არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

ბერძნების დახევა

ლონდონი, 8.4. საბერძნეთის სარდლობა ოფიციალურად იტყობინება, რომ ელინთა ლაშქრის ნაწილები, რომლებიც მცირე აზიაში შეტევაში გადავიდნენ იძულებული იყვნენ ოსმალეთის ლაშქრის შემოტევის გამო დაეხიათ ძველ პოზიციამდე.

ინგლისის მუშები.

ლონდონი. ინგლისის მაღაროებში მომუშავეებმა ინგლისის მთავრობას წაუყენეს მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნილებათა. მდგომარეობა იმდენათ სერიოზული შეიქმნა, რომ ლოიდ ჯორჯმა მოიწვია საგანგებო სხდომა მთავრობის წარმომადგენლებისა და მაღაროებში მომუშავეთაგანი. მოლაპარაკება უნაყოფო გამოდგა.

გერმანიაში

რიგა, 15—3. ლიტვის დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს ბერლინში მოახდინეს ცდა, რათა აეფეთქებინათ დინამიტით გამარჯვების სვეტი, 1871 წ. აშენებული. სვეტის გულში აღმოჩნდა 6 კილოგრამი დინამიტი.

კომუნისტების გამარჯვება.

ბერლინი, 29—3. ქალაქ ჰალიატის არჩევნებმა გოტეში მოგვცა ასეთი შედეგი: კომუნისტებმა მიიღეს 21,339 ხმა. დამოუკიდებლებმა 800 ხმა. უმრავლესობის სოციალისტებმა 4,000 ხმა.

დამოკიდებულება ინგლისთან

მოსკოვი, 9-5. ინგლისის რადიო იტყობინება, რომ 7 აპრილიდან დაიწყება საფოსტო დამოკიდებულება ინგლისსა, ევროპისა და აზიის რუსეთის ყველა ნაწილებს შორის.

რუსეთისათვის [illegible]

რიგაში [illegible] ბის შემდეგ [illegible] მოტვირთვა რუსეთში გასაგზავნათ.

ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა.

ინგლისში გაფიცული მემაღაროენი პოლიციას ძალით ხელს უშლიან შტრეიხბრეხერების გაცილებაში, რომელნიც მაღაროებში სამუშაოდ წავიდნენ. ლონდონის სამთო ინსტიტუტის სტუდენტებმა ინგლისის მთავრობას თავისი დახმარება აღუთქვეს. შესცვალონ გაფიცულნი.

გერმანიის წინააღმდეგობა.

საფრანგეთის სენატის სხდომაზე სამხედრო მინისტრმა ბარტუმ განაცხადა, რომ გერმანია კვლავ ჯიუტობს თავის პასიურ წინააღმდეგობის პოლიტიკით. ამის გამო შესაძლებელია გერმანიის შუაგულისკენ საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების წაწევა.

ბერძენ-ოსმალთა ომი.

პარიზი, 9.4. (რადიო) „ტაიმსი" იუწყება ოსმალეთის მთავრობის კატეგორიულ პროტესტის შესახებ ბერძნების მიერ დაკავებულ ოლქებში ოსმალების დევნის გამო ოსმალეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ ამ გვარი მოქმედება საბერძნეთის სარდლობისა ეწინააღმდეგება ომის ელემენტარულ კანონებს.

სოფლად.

საქართველოს რევკომის საყურადღებოდ.

მე ამ პატარა წერილით მსურს მივაქციო თქვენი ყურადღება ერთ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას. ეს გახლავთ ის, რომ ზოგიერთ სოფლებში დაბანაკებული არიან წითელი ჯარის ნაწილები, რასაც დროებითი ხასიათი უნდა ჰქონოდა, ესე იგი ბრძოლის დროს. ეხლა კი უკვე ცხოვრება კალაპოტში დგება და ჯარის ნაწილებიც სათანადო ალაგს უნდა იყვნენ დაბანაკებულნი, ესე იგი სადაც მოიპოვება ჯარისთვის ყაზარმები თავის მოწყობილობით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პუნქტები მრავლად მოიპოვება სიღნაღის მაზრაში (მაგ. ლაგოდეხი, დედოფლის წყარო და თვით სიღნაღი). მაინც სოფლებში ანაგაში, ვაქირში, პირველ შემოსვლიდან დღევანდლამდის იმყოფება ჯარის ნაწილები. რით აიხსნება ეს, რასაკვირველია, ჩვენ ამაზე ვერაფერს ვერ ვიტყვით, მხოლოთ იმას რომ დიდი ზარალი მოაქვს მუშა-გლეხებისთვის და უკმაყოფილებასაც იწვევს, ეს ნათლად სჩანს. გლეხები, რომლებიც თითო კვირაობით მიდიოდნენ სახნავ-სათესად და ასევე ვენახებში სამუშაოდ, ეხლა ვეღარ ანებებენ სახლებს თავს, რადგან გარეშე ძალა თვით სახლებში დგას და ამისთანა შემთხვევაში კი ჩვენი გლეხი სახლს ვერ შორდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ქიზიყზე, სადაც სახნავ-სათესი მინდვრები ორი-სამი დღის სავალზე იმყოფება. მეორე კიდევ ის, რომ სოფელში ძალიან ანტი-სანიტარული პირობები იქნება და, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქ საშინელი სიცხეები იცის ზაფხულში; მაშინ მოსალოდნელია ყოვლგვარი ეპიდემიურ ავადმყოფობის გაჩენა, რაც უფრო სამწუხარო იქნება ჩვენი მუშა-გლეხებისთვის.

„ან—დი".

საბინაო საგანგებო კომისიის ბრძანება № 1.

1. 5 დღის განმავლობაში უნდა წარმოდგენილ იქნას განყოფილების სწორი ცნობები, ქალაქში რომელი სახლები ან ბინები აქვთ დაჭერილი ჯარის ნაწილებს, შტაბებს და გამგეობებს, და ამასთან უნდა აღინიშნოს ნაწილის, შტაბის და გამგეობის სახელწოდება და თანამშრომელთა რიცხვი.

2. რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამად ყაზარმები, რამდენ სულს დაიტევს, რამდენია საცხოვრებელი ოთახი [illegible].

3. აღრიცხვა ყველა რაიონებში სახლების გარდა დაწესებულებების, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ 10 ოთახისა და უნდა აღინიშნოს ოთახების რიცხვი დიდი, საშუალო პატარა, ნათელი ბნელი და შიგ მცხოვრებ პირთა რაოდენობა, ისე მცირე წლოვანთა [illegible].

შენიშვნა: მცირე წლოვანთ ითვლება 10 წლამდე.

4. შესაბამის სპეციალური კომისია ამხ. კალანდარაშვილის თავმჯდომარეობით [illegible] დაწესებულებები

მიერ [illegible] ბინის დასათვალიერებლად.

შენიშვნა: ამ კომისიას უნდა წარუდგინოს 5 დღის განმავლობაში დაწესებულებების (სამოქალაქო) სია და ამასთან უნდა აღინიშნოს ოთახის რიცხვი და მოცულობა (დიდი საშუალო და პატარა) და შიგ მომუშავე მოსამსახურეთა რიცხვი.

5. 10 დღის განმავლობაში უნდა წარდგენილ იქნას მესამე პუნქტში მოხსენებულ სახლებში ყველა ბინებში მცხოვრებ მდგმურების ანკეტა ამასთანავე დართულ ფორმის მიხედვით.

შენიშვნა: ანკეტი უნდა შევსებულ იქმნას ხალხის კომიტეტის მდივნის მიერ სასტიკი პასუხისმგებლობის ქვეშ, მდგმურის სოციალურ და სამსახურის მდგომარეობის მოწმობის ნუმერის აღნიშვნით.

6. მიეწეროს სახლის კომიტეტებს აღნიშნონ სიებზე გაგზავნილ ან ქალაქიდან წასული მდგმურები და აგრეთვე ის, რამდენ ხანს გაგრძელდა მათი წასვლა საქმეზე.

7. მთელი ავეჯეულობა და არმატურა მდგმურების გადასვლისას რჩება სახლში და ცენტრალურ საბინაო განყოფილების ნებადაურთველად არავის ნება არა აქვს გადაიტანოს სხვა სახლში ან ბინაში.

8. ახლო ხანში სახლის კომიტეტებმა უნდა შეადგინონ სია ბინების, ავეჯისა და მოწყობილებისა და ეს სია უნდა ინახებოდეს სახლის კომიტეტის მდივნის ოთახში.

შენიშვნა: ავეჯის და არმატურის დაკარგვისა ან უკანონოთ ადგილის გადანაცვლებისთვის პასუხის გებაშია სახლის კომიტეტის მდივანი.

9. ქ. ტფილისის კომენდანტმა უნდა დაცლევინოს 10 დღის განმავლობაში სასტუმროების მდგმურებს, რომელნიც ცხოვრობენ შიგ 10 დღეზე მეტს.

10. იმავე ვადაში სრულიად უნდა განთავისუფლდეს მდგმურებისაგან შემდეგი სასტუმროები: ორიანტი, კავკაზი, პალე, როიალი, ნოე, ბელვიუ, ჩრდილოეთის ნომრები, სასახლის ნომრები.

11. ყველა სასტუმროები აღნიშნულ წესით განთავისუფლების შემდეგ საბინაო განყოფილების განკარგულებაში გადადის.

12. ამიერიდან სასტუმროში ნომრები უნდა დაეთმოს მხოლოდ პარტიულ და სამსახურის გამო მივლინებაში მყოფთ და არა უმეტეს 10 დღის, რომლის შემდეგ მდგმური უნდა გადასახლდეს კერძო ბინაზე.

შენიშვნა. პარტიულ საქმეებზე ჩამოსულთათვის უნდა გამოიყოს ერთი სასტუმრო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ც. კ. ახლო.

13. ეთხოვოს პროფ. კავშირების ც. კ. წარმოგზავნოს საბინაო საგანგებო კომისიის განკარგულებაში წერა-კითხვის მცოდნე 60 მუშა.

14. ქალაქის მილიციამ ყოველ-გვარ მიზეზის გარეშე უნდა აღმოუჩინოს ყოველ-გვარ დახმარება საბინაო განყოფილების აგენტებს.

15. უქმდება შეუვალობის სიგელი, ვისგანაც არ უნდა იყოს მიცემული და მომავალში ასეთი აღარავის მიეცემა.

შენიშვნა. ამათ რიცხვში არ შედიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

16. მცხოვრებთა ყოველნაირი ჩასახლება. გადასახლება ან ცვლება ბინის ხდება მხოლოდ და მხოლოთ ცენტრალურ საბინაო განყოფილების ნებართვით. ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ აღნიშნულ წესს. მიცემულ იქნებიან რევოლიუციონურ ტრიბუნალში.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარე
ტალახაძე.

ბრძანება № 5

კონტრ-რევოლიუციისა, ჯაშუშობისა, სპეკულიაციისა, სამსახურში ბოროტმოქმედებისა და ბანდიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს საგანგებო კომისიის.

საქართველოს საგანგებო კომისიას უტყუარი საბუთები აქვს, რომ ტფილისის ვაჭრებს გააქვთ ფარულად ქალაქიდან ყველაფერი, რის გატანაც შეიძლება და რაც შეადგენს პირველ მოთხოვმოთხოვნილების საგანს ხელოვნურად სურსათზე ფასების აწევისა და დიდი მოგების მიზნით და სხვა. აგრეთვე სხვა ორგანიზაციები ჰყიდულობენ გასატანად და გააქვთ კიდეც საბჭოთა ხელისუფლების შესაფერ ორგანოებისაგან ნება დაურთველად. საქართველოს საგანგებო კომისია ხედავს და რევოლიუციის და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ინტერესების დარაჯად, ხედავს ამ მოქმედებაში ერთი მხრივ საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკის სასურსათო გეგმის ცხოვრებაში წარმატებით გატარებისათვის ხელი შეეშალოს. ხოლო მეორეს მხრივ სპეკულიანტების კონტრრევოლიუციონურ მოქმედებამ, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართულს. რაც ართულებს და შლის ისედაც ქვეყნის მძიმე სასურსათო მდგომარეობას.

ტფილისის ყველა ვაჭრებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომელნიც აწარმოებენ სურსათის და საქონლის ყიდვას და გატანას ქალაქიდან უსათუოდ უნდა იქონიონ ამისთვის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ოფიციალური ნებართვა.

საგანგებო კომისია აფრთხილებს დაწესებულების ყველა მოქალაქეს, რომ საქონელი და სურსათი, რომელიც გატანილი იქნება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად, სახალხო კომისრის და საქმეთა მმართველის ხელმოუწერლად და გასატანად ნებადართულ ყველა საქონლის და საგნების სიაწორით დაუსახელებლად ჩამორთმეული იქნება, ხოლო გამზიდავნი დატუსაღებულნი და სამხედრო რევოლიუციონურ დროის კანონებით დასჯილნი იქნებიან.

შენიშვნა: საქართველოს რევკომის დეკრეტის თანახმად, ყოველივე საქონლის შემოტანა ქალაქში დაუბრკოლებლივ ნებადართულია და ყველა პირნი (განსაკუთრებით მილიცია) რომელნიც, იყო შემთხვევა, იჭერენ შემოტანილ საქონელს და სურსათს, უმაღლესი სასჯელით დაისჯებიან.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე **ცინცაძე.**

საადმინისტრაციო-საორგანიზაციო გამგეობის უფროსი **წოწრიგაძე.**

მარიამ იოთამის ასული და შვილი მათი მარინე აფხაზები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი ქმრის და მეორე დაუვიწყარ მამის

ივანე დიმიტრის ძე აფხაზის

გამოსვენება მიხაილოვის საავადმყოფოდან სამშაბათს, აპრილის 12-ს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა იმავე დღეს წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ვერაზე). 767

ნიკოლოზ იოთამის ძე მეუღლით და დაი სოფიო იოთამის ასული ქარცივაძეები აუწყებენ ნათესავ და ნაცნობთ გარდაცვალებას მათთვის დაუვიწყარ ძვირფასი სიძის

ივანე დიმიტრის ძე აფხაზის

გამოსვენება მიხაილოვის საავადმყოფოდან სამშაბათს, აპრილის 12-ს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა იმავე დღეს წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ვერაზე) 767

ერმილე და მარიამ თაყაიშვილები თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ სიძის

ივანე დიმიტრის ძე აფხაზის

გამოსვენება მიხაილოვის საავადმყოფოდან სამშაბათს, აპრილის 12 ს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა იმავე დღეს წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ვერაზე). 767

ექიმი დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილი ცოლშვილით და ძმებით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 10 აპრილს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი დაუვიწყარი და საყვარელი ბიძაშვილი ექიმი

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი

766

იოსებ ალექსანდრეს ძე, ალექსანდრე ივანეს ასული, ელენე პავლეს ასული, ანტონინა ალექსანდრეს ასული აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ აპრილის 10-ს გარდაიცვალა პირველი ორის ძვირფასი მესამე შვილი, მესამესი მეუღლე და მეოთხის ბიძა

ივანე იოსების ძე კეზელი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ, გამოსვენება ოთხშაბათს, მარტის 13-ს დილის 9 საათზე. ელისაბედის ქუჩა, № 63. 768

მარტის 29-ს ბრძოლის ველზე მიღებულ ჭრილობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი იუნკერი

ილიკო ივანეს ძე ჯანდიერი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ მამა ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერი დედა თამარ გიორგის ასული ჯანდიერისა ძმები: გიორგი მეუღლით ანასტასია დავითის ასული, შვილი—ვახტანგ, ნიკოლოზ, იასონ, კოტე, დები: თინათინა, გენო, ნინო, ლიზა და მარიამ ჯანდიერი, სიძეები: ევგენი მენშიკოვი და დიმიტრი მიხეილის ძე ჰეჰინაძე. დღეს აპრილის 12-ს საღამოს 5 ნახ. საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება 15 დღის პანაშვიდი. 764

გულდამწვარი დედ-მამა ნიკოლოზ გრიგორის ძე და ევა მაქსიმეს ასული ჯავახიშვილები, ძმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი ცოლით, დები: ვერა ნიკოლოზის ასული გედევანიშვილისა, ელენე ნიკოლოზის ასული საყვარელიძესი ქმრით და თამარ ნიკოლოზის ასული ყურიშვილისა ქმრით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ ექიმ

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილის

აპრილის 10 გარდაცვალებას, პანაშვიდები საღ 6 საათზე ფსიხიატრიულ განყოფილებაში ელექტრონის ქ. 4. დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. 761.

გულდამწვარი მეუღლე ნადეჟდა დავითის ასული ჯავახიშვილისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ ქმრის

ექიმ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. აპრილის 10 პანაშვიდები საღ. 6 საათზე ფსიხიატრიულ განყოფილებაში ელექტრონის ქ. 4. დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. 761.

სერგო დავითის ძე უთარნიშვილი მეუღლით ბარბარე აბელის ასულით და კონსტანტინე დავითის ძე გურგენ ძე მეუღლით სოფიო დავითის ასულით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილის

აპრილის 10 გარდაცვალებას, პანაშვიდები საღ. 6 საათზე ფსიხიატრიულ განყოფილებაში ელექტრონის ქუჩა № 4. დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბრძანება № 34

სასოფლო მეურნეობის სპეციალისტთა რეგისტრაციის შესახებ.

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილების თანახმად, [illegible] უმოკლესად ტფილისში მყოფი ყველა სასოფლო მეურნეობის სპეციალისტებს და ტეხნიკებს, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი, საშუალო ან დაბალი განათლება და რომელნიც ამ ჟამად იმყოფებიან სახელმწიფო საზოგადოებრივ ან კერძო სამსახურში ან არიან სამსახურის გარეშე ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდნენ სარეგისტრაციოთ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-მეურნეობის განყოფილებაში (ტფილისი, მთავრობის დაწესებულებათა შენობა რუსთაველის ქუჩა).

2. რეგისტრაციის პირველ დღეთ ცხადდება 1921 წლის აპრილის 12-ტი ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 3 საათამდე.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.

დავკარგე პასპორტი ქალ. [illegible] აღებული ილაკ ლევოკოვის ძე დავორეცკის სახელობაზე, რომელიც იყო მიღებული ევპატორიის სახელმწიფო სადარაჯოსაგან 26|IX 1919 წელს ერთი წლის ვადით და საწევრო ბილეთი „რაბისის" კავშირისა, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 765

დავკარგე მოწმობა იარაღის ტარებისა ალექსანდრე შალვაძის სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 764

დაიკარგა მატრიკული № 2 ტფილისის ქართული უნივერსიტეტისაგან 1918 წ. მიცემული ჩაითვალოს გაუქმებულად. 13 სტუდენტი ხაგლე აბულაძე.

განცხადება მე სტუდენტმა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა დავკარგე მატრიკული № 2958. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. სტუდენტი მედიკო მიხეილ დიმიტრის ძე მილორავა. 767

დავკარგე ტბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ჰიდრო-მექანიკურ ფაკულტეტის მიერ გაცემული მატრიკული (**зачетная книжка**) ანემპოდისტე ისმაილის ძე ნიჟარაძის სახელზე, რომელიც დღეიდან ითვლება გაუქმებულათ. 765.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (914 & 606 სქესობრივი უძლურება, ვენერიული ტრიპერი და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—12 საათ. საღ. 5—7 ს. 7

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა იმ მეაბრეშუმეთ, რომელთაც გასულ წლის პარკის მოსავალი ჩააბარეს ქვემო აღნიშნულ ორგანიზაციებს და სათანადო ბარათებიც (კვიტანციები) ხელში აქვთ მიეცემათ სადი აბრეშუმის თესლი და დამატებითი ავანსის სახით სამიათასი მანეთი ფუთ ჩაბარებულ ნედლ პარკზე. თესლის მისაღებად აუცილებლად საჭიროა აპრილის დამლევამდე წარმოდგენილ იქნეს პარკის ჩაბარების ბარათები შემდეგ დაწესებულებებში. ტფილისი—საბრეშუმო სადგურში (მუშტაიდი) თელავი—რევკომი (ამხან. საყვარელიძე და მაკარაშვილთან), ზესტაფონი—კოოპერატივთა კავშირში, ქუთაისი—საბრეშუმო სადგურში (ბაღის ქუჩა) ხონი—ადგილობრივ კოოპერატივში, დანარჰავანი—კოოპერატივში, სამტრედიაში—კავშირ „კონა" და ამხ. გ. სიხარულიძესთან, ვანი—რევკომში (ივ. კალანდაძესთან). ცაგერი (ლეჩხუმი)—რევკომში (ამხ. წერეთელთან, წესი—(რაჭა) რევკომში (ამხ. ივ. ჰეჰინაძესთან), საჩხერე—კოოპერატივთა კავშირში, საჭამ-სერი—კოოპერატივში, ჩოხატაური კოოპერატივთა კავშირში, ხიდისთავი—რევკომში, ოზურგეთი. კოოპერატივთა კავშირში, ნაგომარი—კოოპერატივში, ნატანები—კოოპერატივთა—კავშირში, სუფსა—კოოპერატივში (ამხ. დოლიძესთან). ლანჩხუთში—კოოპერატივთა კავშირში, აბაშა (სამეგრელო)—კოოპერატივთა კავშირში, ბანძა—კოოპერატივში, ახალ-სენაკი—რევკომში (ამხ. გრ. სალაყაიასთან), ხობი—კოოპერატივი, ზუგდიდი—რევკომში, და კოოპერატივთა კავშირში, ოქუმი ივ. გეგიასთან და ოჩემჩირე-დრანდაში სოხუმის კოოპერატივთა კავშირში.

მიწად მოქმედების კომისარიატის კოლეგიის წევრი ე. გაწაძე.
მეაბრეშუმეობის ინსპექტორი ი. ქუთათელაძე.

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე"
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

გაზეთ
„სოციალისტ-ფედერალისტი"
კანტორა სთხოვს ყველა დაწესებულებებს, რომ გაზეთისთვის მიმართონ პირდაპირ კანტორას, რადგანაც ექსპედიციაში დაიგზავნება მხოლოდ კედლებზე გასაკრავი ნომრები.